

„მამული, მნა, სარწმუნოება“

## სამუშაოსათვის აძვირებული გულები



„მე ზედნიერი ვარ, რომ ვი-  
მყოფები თქვენთან: მინდა მად-  
ლობა ვუთხრა მამა მირიანს,  
მის მეუღლეს, მასწავლებლებს...  
ასეთ სკოლაში მეც სიამოვნებით  
ვისწავლიდი და, ნამდვილად,  
თქვენ ზედნიერი ზრდადებით,  
რომ ასეთ სკოლაში სწავლობთ“.

ქადაგებს კაცთმოძულეობას.  
ამიტომ ამ სკოლაში ურთიერთ-  
სიყვარულს, ურთიერთგაგებობას  
და თანადგომას, მოყვასის სი-  
ყვარულს ერთად სწავლობს 500-  
მდე ქრისტიანი და მუსულმანი  
ყმაწვილი, რომელთაგანაც – 80  
პანსიონში ცხოვრობს და მათს

გამორჩეული მუსიკალური ნიჭის  
მქონე გოგო-ბიჭები. სიმფონი-  
ური ორკესტრის წევრთა 80%  
სწორედ მისი კურსდამთავრე-  
ბულია. ცხადია, ასეთ განძს სა-  
პატრიარქო არა და არ დაკარ-  
გავდა. ჰოდა, სკოლა-პანსიონი  
ედიებს, ჩამოჰყავს, მუსიკას აუ-  
ფლებს ნიჭიერ ბავშვებს.

იდეა დიდებული იყო, მაგრამ  
ყოველ ჩანაფიქრს ღირსეული  
განმხორციელებელი სჭირდება.  
პატრიარქმა ასეთი მოძღვარი  
ზუსტად დაადგინა.

სკოლა-ინტერნატის დი-  
რექტორმა, დეკანოზმა **მირიან  
სამხარაძემ** ცხოვრების რთული,  
მაგრამ საინტერესო გზა გან-  
ვილი: მან ჯერ **სერგო ზაქარი-  
აძის** სახელობის კულტსაგან-  
მანათლებლო სასწავლებელი  
დაამთავრა რეჟისურის განხრით,



ნი ნისქვილის ქვა დატრიალებუ-  
ლა მამა მირიანის თავზე, მაგრამ  
მრწამსის ერთგულმა მოძღვარმა  
ყველაფერს გაუძლო.

ხომ ზუსტად დაუდგენია პა-  
ტრიარქს სკოლა-პანსიონის დი-  
რექტორი?

მოძღვარს მხარში ედგა  
და ახლაც ერთგულად უდგას  
მეუღლე – ქალბატონი **ნანა ან-  
თაძე**, ვისი უმრეტი სიყვარულიც  
დღენიდაც ერთიანად ეფინება  
ალსაზრდებებს. იგი სკოლის  
საზოგადოებასთან ურთიერთო-  
ბის სამსახურის ხელმძღვანელია.  
წარსულში მუსულმან ქალბა-  
ტონს საპატრიარქო ძალზე სა-  
თუთი და საპასუხიშემგებლო საქმე  
ანდო – მუსულმან ქართველებთან  
ურთიერთობის განყოფილებას  
განაგებს.

**პანსიონში ცხოვრობენ  
ყმაწვილები საინგილოდან, ფე-  
რეიდან, ტაო-კლარჯეთიდან,  
ეკომიგრანტები ზემო აჭარი-  
დან; სოციალურად დაუცველი  
ოჯახების, აფხაზეთისა და შიდა ქა-  
რთლში დაღუპულთა შვილები...**

სკოლა-პანსიონი ერთგვარი  
„მცირე საქართველო“ – მისი  
ყოველი კუთხის შვილებს იხი-  
ლავთ აქ. და სკოლაში, ვითარცა  
სარკეში, აისახება ჩვენი სამშობ-  
ლო

ქართველებს ჯიშად მოგვდ-  
გამს შემწყნარებლობა. ყველაზე  
საუკეთესოს „საუცხოო“ ვუ-  
წოდებთ და სწორედაც ჩვენგან  
უნდა ისწავლოს მსოფლიომ, რას  
ნიშნავს ჭეშმარიტი შემწყნარე-  
ბლობა და თანაცხოვრება. აგერ,  
სკოლა-პანსიონის მაგალითზე  
ხომ დაიწყებთ კიდევ...  
კვირაში ორჯერ პარაკლისი  
იმართება. ყველა ეროვნული და  
საუფლო დღესასწაული აღინ-  
იშნება. მუსულმანი ბავშვები კი  
პარაკეობით მეჩეთში მიჰყავთ.  
კარგი ურთიერთობა აქეთ მუფ-  
თი **იასინ ალიევთან**.

საიდან იწყება წესრიგი? სულ  
თავიდან. თუნდაც, სკოლის შეს-  
ასვლელთან გაკრული განცხადე-  
ბიდან, ფორმების გარეშე მო-  
სწავლეები არ დაიშვებიანო.  
მერწმუნეთ, აღზრდისათვის ეს ძა-  
ლზე ბევრს ნიშნავს – ფორმა გუ-  
ლისხმობს, რომ სკოლაში ხარ და  
მოსწავლის შესატყვისად უნდა  
მოიქცე. საჯარო სკოლების ჭრე-  
ლა-ჭრულობის ფონზე, აქაური  
მოსწავლეები მონესრიგებულო-  
ბითაც გამოირჩევიან, რაც თა-  
ვიდანვე წესრიგს, დისციპლინას  
აჩვენებს ყმაწვილებს. ეს კი მთელი  
ცხოვრების მანძილზე გაჰყვებათ.

**დასტური: აქაურ მოსწავ-**

### ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

**მაცხოვარი**, მონაფეხითურთ,  
გზად ძაღლის გაბრწილ ლეშს  
წასწყდომია. მომავალ მოცი-  
ქულებს ზიზღით უბრუნებით  
პირი. შეხედეთ, მშობრისკენ მი-  
ახედა უფალმა ისინი, რა მშვენი-  
ერი კბილები ჰქონია ამ ცხოვე-  
ლსო.

ანუ, ყველგან და ყოველ-  
შია სიკეთისა და მშვენიერების  
მარცვალი. მისი დანახვის,  
გამორჩევისა და დაფასების  
უნარი უნდა შეგნევედეს, რათა  
ჯერ ჩვენს თვალში დავინახოთ  
ღირე...

ღმერთი სიყვარული არსო,  
გვმოდვრავს იოანე მახარო-  
ბელი და ამით გვამცნობს, რომ  
სიყვარული უზეშთაესი, ღვთაე-  
ბრივი გრძნობაა.

**სწორედ ამ სულისკვეთებით –  
მოყვასის სიყვარულით, ზოგადად,  
უფლის ქმნადობის სიყვარულითა  
და პატივისცემით, კდემითა და**



სწავლასა და ყოფაცხოვრებას  
საპატრიარქო აფინანსებს.

როგორ დაიბადა ასეთი სას-  
წავლებლის შექმნის იდეა? პა-  
ტრიარქს სურდა, ისეთი სას-  
წავლებელი გექონოდა, სადაც  
სხვადასხვა რელიგიის გაჭირვე-  
ბული ოჯახების შვილები, ნი-  
ჭიერი ყმაწვილები ისწავლიდნენ;

შემდეგ – თეატრალური ინსტი-  
ტუტის კულტსაგანმანათლებლო  
ფაკულტეტი; ხარაგაულში საქა-  
რთველოში პირველი საბავშვო  
თეატრალური სტუდია ჩამოაყ-  
ალიბა. ეროვნულ მოძრაობაში  
აქტიურად მონაწილეობდა. დაინ-  
იშნა ხარაგაულის კულტურისა  
და განათლების გან-  
ყოფილების გამგედ.



მონიებით ზრდიან ყმაწვილებს  
საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა კეთილმსახური მეფე თამა-  
რის სახელობის სკოლა-პანსიონ-  
ში.

სიყვარული ყოველისმომცვე-  
ლია. არც ერთი რელიგია არ

დაეუფლებოდნენ ხელოვნებისა  
და ტრადიციული ხალხური რენ-  
ვის სხვადასხვა დარგს.

შენობაც გამოინახა – გაუ-  
ქმებული მუსიკალური სკოლა-  
ინტერნატისა. მთელი საქა-  
რთველოდან ჩაჰყავდათ იქ

ტბელ აბუსერის ძის სახელობის  
გიმნაზიასაც მოიცავდა. თან,  
ხარების სახელობის ტაძრის ნი-  
ნამძღვარიც გახლდათ. ხულოში  
გამოსცემდა მართლმადიდებელ  
ქრისტიანთა გაზეთ „სხალთის  
ზარებს“. უფალმა უწყის, რამდე-



ლოს ისტორიული თუ თანამე-  
დროვე ტკივილი, გაჭირვება და  
ბედუქულობართობა.

კინორეჟიორმა **სოფიო ბა-  
ლუაშაძე**, საფრანგეთის კინო-ცენ-  
ტრის დაკვეთით, გადაიღო ფილ-  
მი, როგორ ცხოვრობენ ერთად,  
როგორი ძმური სიყვარული აქეთ  
სხვადასხვა რელიგიის ბავშვებს.  
რეჟისორი, თემაში ჩასაწვდომად,  
თავად ცხოვრობდა პანსიონში.  
ფილმს აპრილში ვიხილავთ.

ლებს უმალ გამორჩევით სხვა  
სკოლების ალსაზრდელთაგან  
ზრდილობითა და თავდაჭერით.  
საჯარო სკოლებიდან აქ გადმო-  
სულ ყმაწვილებს ერთ-ორ თვეში  
„გადაეხმებათ ხოლმე აქაური  
წყალი“ და თანატოლთაგან ველარ  
გამორჩევით. გარემოა ისეთი, სხ-  
ვაგვარად გამორჩეულია.

**გაგრძელება მე-2 გვ**

# სამუშაოსათვის აბაზაზული გულები

დასაწყისი I კვარტალში



მშობლებს უთქვამთ, სწავლა სხვა სკოლებშიცაა, მაგრამ ამ სკოლის დღის წესრიგი, ტრადიციები ბავშვებს უფლისა და სამშობლოს ჭეშმარიტ სუფიერებს ასწავლის.

ფოიეში 60-ზე მეტი სხვადასხვა სიგელი, დიპლომი, ჯილდო, სერთიფიკატი, სამადლობელი დავითვალი. ეს მთლიანად პედაგოგიკური მონაგარია.

უნარიანად უძღვებიან საგნობრივ კათედრებს თამარ მიქაია – ქართული ენა და ლიტერატურა; თეა ხარაზიშვილი – საზოგადოებრივი მეცნიერებათა; ზურაბ გოგოლაძე – საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა; შორენა ოქრუაშვილი – მათემატიკის; მზიური კოჩალიძე – უცხო ენების; მაია ნამორაძე – სპორტისა და ესთეტიკის; მაია ხორბალაძე – დანყებოთი.

პედაგოგთა კოლექტივს გამოცდილი პედაგოგი, მენეჯერი ზოგადი განათლების დარგში ქალბატონი მაყვალა ანთაძე ხელმძღვანელობს.

საჯარო სკოლების პროგრამებით გათვალისწინებულ ყველა საგანთან ერთად, აქ რელიგიების ისტორია, გალობა და ძველი ქართული ენა ისწავლება. აღსაზრდელები ფლობენ ასომთავრულ და ხუცურ დამწერლობებს.

კიდევ სახელოსნოები, მცირე სანარმოები აქაურმა კურსდამთავრებულმა. სკოლა-პანსიონის სულისკვეთებით აღზრდილი, ცხადია, პატიოსანი ხელოსნები და მრეწველები იქნებიან. ჰოდა, გველირება წესიერი ბიზნეს-მენები. მრავალ გამოფენას ამშვენებდა მოსწავლეთა მართლაც დიდებული ნამუშევრები.

სახელოვნებო მიმართულებას თამილა ფოლადიშვილი უძღვება. „არსიანი“ ჰქვია ქორეოგრაფიულ ანსამბლს (ხელმძღვანელი – ჯონი დუგლაძე), ვაჟთა და გოგონათა ფოლკლორულ ანსამბლებს (დავით შანიძე, დალი და ბრუნდაშვილი), ხალხურ საკრავთა ჯგუფს (მალხაზ ქიაია და ალექო ხიზანიშვილი).

ეს ანსამბლები მრავალი საერთაშორისო კონკურსისა და ფესტივალის ლაურეატები და დიპლომანტები.

თეატრალურმა სტუდიამ უკვე წარმოადგინა დადგმა ოქტომბრის ნოველის „უკანასკნელი ფოთლის“ მიხედვით (რეჟისორი – კობა სხილაძე). ამჟამად მუშაობენ შექსპირის პიესაზე „ღამის სიზმრები“. არასამთავრობო ორგანიზაცია „არსიანთან“ ერთად, ბუფერული ზონიდან – გორის რაიონის ე. წ. სასაზღვრო ზოლის სოფლებიდან ჩამოიყვანეს 50 მო-

ფერწერის სტუდიას ხელმძღვანელობს გაიოზ ზანდალაშვილი. მისი მოსწავლეების ნამუშევრები სკოლა-პანსიონსაც ამშვენებს და სხვადასხვა კონკურსის ჯილდოებიც მოუპოვებიათ.

პანსიონური მომსახურების კოორდინატორია ნინო ცეცხლაძე. ვგონებ, არა ღირს ჩაღრმავება, თუ რაოდენი პასუხისმგებლობა აკისრიათ მას და საპანსიონო მომსახურების ყოველ მუშაკს, რასაც ღირსეულად ასრულებენ კიდევ.

სკოლის დიდ წარმატებებში თავისი წვლილი შეაქვთ ფინანსურ მენეჯერს ჯამბულ გოგოლაძეს, მატერიალურ-ტექნიკური სამსახურის უფროსს ჯიმშერ არძენაძეს, განათლების ხარისხის უფროსს მარინე გოგიაძეს.



აქ კარგად უწყაინ პირადი მაგალითის ძალა. მამა მირიანი, ქალბატონი ნანა ანთაძე, სკოლის ყოველი მუშაკი ცდილობენ და ასეცა – სანიმუშო იყვნენ აღსაზრდელთათვის ყოველდღიური ყოფით, რათა მათს ყოველდღიურობაშიც დამკვიდრდეს წესიერება და პატიოსნება, ქრისტესული ნუ მოინდომებ სხვისთვის იმას, რაც შენი თავისთვის არ გინდაო.

ასევე კარგად უწყაინ, რომ თეორიული ცოდნა კარგია, მაგრამ თვალთ დანახული, ხელშეხებული, შეგრძნებით აღქმული აჩნდება ცხოვრება სულსა და გულს. ამიტომაც, რომ ამ სკოლებში ყველგან არიან, სადაც ეროვნული სული ტრიალებს, ეროვნული ძარღვი ფეთქავს: 9 აპრილს ამ ავადმოსაგონარ დღეს დაღუპულთა ხსოვნას მიაგებენ პატივს მემორიალთან; 24 თებერვალს იუკერთა მემორიალთან იკრიბებიან; 31 მარტს მთაწმინდაზე ზვიად გამსახურდიას ხსოვნას ესათუთებიან; 13 ოქტომბერს მერაბ კოსტავას მემორიალთან აღნიშნავენ მის ხსოვნას. ასე ათასი მონამის ხსენების დღეს – მსვლელობა და კონცერტი, სხვა უამრავი გამიზნულად აღმზრდელობითი ღონისძიება, რაც საპატრიარქოს ტელეარხს „ერთსულოვნებასაც“ გაუშუქებია.



ძალმომრეობის მსხვერპლი რომ არიან. დადგება დრო – აუცილებლად უნდა დადგეს, სხვაგვარად, დავლუპულვართ და ეგაა – როცა შეგვრცხვება ასეთი დღის საჭიროება და ისიც შეგვზარავს, როგორი ტამ-ფანდურით, საბავშვო სახლების ერთჯერადი მონახულებით აღვნიშნავდით ამ

ანთაძე); საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიკურ-სამართლებრივი ანალიზი (ნატა წიქარიშვილი, ნინო გაგოშიძე); მელქისედეკ პირველის მოღვაწეობა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის გაერთიანება (ციხანა გორგაძე, იოსებ აფაქიძე); გიორგი მთაწმინდელის დავა ანტიოქიის საპატრიარქოსთან ავტოკეფალიის საკითხებზე (ბაკურ ხალვაში, დავით ფერაძე); მირონის ხარშვის ტრადიცია საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში (დეა ყარაულაშვილი, დავით ფერაძე); მესხეთის ეკლესიის საკითხი მეთხუთმეტე საუკუნეში (შალვა აბაშიძე, ალექსანდრე ბლიაძე); რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და იმერეთის საეკლესიო აჯანყება (ნაზი შანიძე, ლაზარე ვარდუკაძე); საეგზარქოსო პერიოდი ქართულ ეკლესიაში (ქეთევან კაბულაშვილი, ლაზარე ვარდუკაძე); ბრძოლის დაწყება ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად (ლიკა აბულაძე, დავით ფერაძე); ავტოკეფალიის აღდგენა 1917 წელს (ლინდა ხიმშიაშვილი, თეა ხარაზიშვილი); საქართველოს სამოციქულო ეკლესია 1917-1921



პედაგოგიკური ძალისხმევა იქითაა მიმართული, რომ სამშობლოს სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი, ავ-კარგის განმრჩევი, უფლისა და მამულის მოყვარე თაობები აღუზარდოს.

ტრადიციული ხალხური რენა არა მხოლოდ პროფესიებს აუფლებს მოსწავლეებს, არამედ ქვეყნის ისტორიაშიც ახედებს, რაც უძლიერებთ პატრიოტიზმს.

პროფესიული განათლების მენეჯერია კახაბერ ვარდუკაძე; ხის მხატვრულ დამუშავების პედაგოგია ვია ადულიშვილი; მინანქარისა – იოსებ ზანგალაძე; თექისა და ბატიკისა – ანა მაისურაძე; ტანსაცმლის მოდელირებისა – რუსუდან არჯევანიძე; მებაბრეშუმეობისა – ირინა ჩარგეიშვილი.

ტრადიციული რენვის დარგების აღდგენა დიდი ეროვნული საქმეცაა და პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს: ახალგაზრდებს შემოსავლის წყარო უჩნდებათ. უკვე გახსნეს

სწავლე და ზემო გაუმართეს: ქალაქიც დაათვალერებინეს, სპექტაკლიც ანახეს და კონცერტიც გაუმართეს.

ვიოლინოსა და ფორტეპიანოზე დაკვრას აუფლებენ, კლასიკური მუსიკის ზეალმტაც სამყაროში შეჰყავთ ყმანვილები



ლიალია ბალანჩივაძეს, შორენა ებრაღიძეს, ეკა სანაძეს, ლია სონლულაშვილს, ლელა ქუშიაშვილს. მრავალ პრესტიჟულ კონცერტზე აღინიშნა მათი შეგირდების საშემსრულებლო ოსტატობა.

ჩანართი: ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღევ აღნიშნეს. ოღონდ, არავითარი პომპეზურობა – თანაგრძნობა და თანადგომა მსოფლიოს თანატოლთა მიმართ, ჩვენი, ზრდასრულების



და აღინებენ – მიაგებენ მამულიშვილთა ხსოვნას პატივს; რწმუნდებიან, რომ გმირები მხოლოდ შორეულ წარსულში კი არ გვევლია, არამედ, აი, სულ ახლახანაც შესწირვიან ზვარაკად სამშობლოს ძეგლთან, მემორიალთან მდგომი ყოველი მათგანის, მათი თანატოლების ბედნიერი მომავლისათვის. წარმოქმნილი ყოველი ლექსი, წარმოდგენილი კომპოზიცია სწორედ ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული.

დახეთ, როგორი თემები წარადგინეს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამედიურ კონფერენციაზე: ქრისტიანობის პირველი მქადაგებლები საქართველოში (მოსწავლე – ნუცა ნათენაძე, პედაგოგი – თეა ხარაზიშვილი); ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვება V საუკუნეში (დავით ჯორბენაძე, ნანა

გაგრძელება მე-3 გვ

# სამშობლოსათვის აძვირებული ბულები

დასაწყისი II გვერდი



სიტეტის რექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**; აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიპლექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი მუშაკი, თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ელდარ ბუბულაშვილი**. ვგონებ, კომენტარი არაა საჭირო. მხოლოდ ერთს ჩავუკვირდეთ: რამდენი მოსწავლის გვარი გახსენებთ აჭარასა და ტაოს?

შარშან სკოლა ოქროს მედლებზე დამთავრეს **გიორგი სამხარაძემ**, **ნინო მაღლაკელიძემ**, **თორნიკე ვახტანგიძემ**, **თამთა კაჭაყაძემ**; ვერცხლისაზე – **ლიკა ვახტანგიძემ**, **ნათია მიქაძემ**,

**ნინო ნებიერიძემ**, **თემურ ბერიძემ**.

24 შარშანდელი კურსდამთავრებულიდან – 23 ჩაირიცხა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. სახელდობრ: **სოფო ახვლედიანი** – დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში; **თეიმურაზ ბერიძე**, **ნათია მიქაძე** და **ნინო ნებიერიძე** – შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში; **ლაშა ბოლქვაძე**, **მირზა ჯაიანი** და **მამუკა მჟავანაძე** – ბათუმის საზღვაო აკადემიაში; **გიორგი გელაშვილი** – საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში; **თორნიკე** და **ლია ვახტანგიძეები**, **ნინო მაღლაკელიძე** – დედაუნივერსიტეტში; **მარიამ იასალაშვილი**, **ილია ძირკვაძე** და **თამთა კაჭაყაძე** – ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში; **გიორგი მაყიშვილი** – სულხან-საბაო სახელობის უნივერსიტეტში; **გიორგი სამხარაძე** – საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში; **ანა გორგილაძე** – საქართველოს უნივერსიტეტში; **თორნიკე** ესა-

კია – კავკასიის უნივერსიტეტში; **მარიამ თაგოშვილი** – გეომედში; **ნიკოლოზ მიგრიული** – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში; **მედეა მუმლაძე** – გურამ თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტში.

რასაც ახლა ვიტყვი, არ მიკვირს, რადგან ეს რეალურად ასახავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას, ზოგადად, ქვეყნისა და, სახელდობრ, სწავლა-აღზ-



რდის მიმართ – ასეთი დიდებული, ეროვნული (ეგებ, სწორედ იმიტომაც, რომ ასეთი ეროვნუ-

ლია) სასწავლებელი ბიუჯეტში მონარჩენი თანხებით ფინანსდება, უფრო ზუსტად – შიშხილობს. საპატრიარქო მთლიანად ვერ

განდებდა 40 ასეთი სასწავლებლის, სამი უნივერსიტეტის, ორი აკადემიისა და ექვსი სემინარის დაფინანსებას. შესაძლებელზე მეტსაც აკეთებს, მაგრამ ეს საკმარისი რომ არაა? სახელმწიფო რილასი მაქნისია?! სკოლაში ისიც არ იციან, რა თანხა ერგებათ, ამიტომ ვერც წინასწარ დაგეგმვენ, რას მოახმარონ ის.


აი, მამულიშვილების ასეთი დიდებული სამჭედლო გვაქვს. კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ნათქვამიც ცხადყოფს სკოლა-პანსიონის უდიდეს ღირებულებას, პატიოსანი თაობების აღზრდაში.

სასწავლებელი სამღერეთის ქუჩაზე მდებარეობს – იქიდან გამოსულს მართლაც ამიღერდა სული და გული. მჯერა – ყოველ აღსაზრდელს უძგერებენ და უმღერებენ სულსა და გულს მამულის, ენისა და სარწმუნოებისთვის.

კონსტანტინე გურგენიძე

## პრემიერა ეროვნულ ბიბლიოთეკაში

# ფილმი კულტურული ხელშეწყობის შემოქმედებზე



ორი მუზის მსახური – ასე აფასებენ მხატვარსა და მწერალს **ნიკო ხერკელაძეს**, რომლის შემოქმედებაც და მოღვაწეობაც ცნობილია არამარტო საქართველოში, არამედ უცხოეთშიც. მთაბრუნებელი ხელოვანის ფერწერული ნამუშევრები, პუბლიცისტური და ისტორიული ნაწარმოებები, ასევე, ნიგნი „**ცრემლში ნალესი ხმალი**“ – გიორგი სააკაძის პიროვნებასა და მისი მოღვაწეობის შესახებ.

პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში პუბლიცისტის, მწერლის, მკვლევარის და მრავალი პრემიის ლაურეატის **ნიკო ხერკელაძის** შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომლის ინიციატორი გახლდათ **ჯუმბერ ლეჟავას** სახელობის მეცნიერებათა აკადემია და ჟურნალ „**ათინათის**“ მთავარი რედაქტორი, ცნობილი პოეტი და ჟურნალისტი **გულნაზ ხარაიშვილი**. ამ ემოციურ წარდგინებას ესწრე-

ბოდნენ მხატვრები, მწერლები, სკოლა-ლიცეუმის მოსწავლეები და ჩვენი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები. ღონისძიება დალოცეს სასულიერო პირებმა: მამა **ამირან (ამირანაშვილი)** და მამა **მერაბ (დეკანოიძე)**.

საღამოზე ვრცლად ისაუბრეს ნიჭიერი მხატვრის, პუბლიცისტის, მწერლის, მკვლევარის ღვაწლზე და მალაღონეზე შეაფასეს მისი შემოქმედება.

მომხიბლავი იყო კინორეჟისორ **ნიკო ბალაშვილის** საავტორო ფილმი-ჩანახატი **ნიკო ხერკელაძეზე** – „**ცრემლში ნალესი ხმალი**“, რომელმაც დიდი მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ფილმი-ჩანახატი გადაღებულია მარტყოფის ისტორიულ ადგილებში, ასევე, გამოყენებულია კადრები **მიხეილ ჭიაურელის** ფილმიდან „**გიორგი სააკაძე**“. ფილმში, ვიზუალური მასალის ჩვენების ფონზე კი, **ნიკო ხერკელაძე** გვიყვება საინტერესო, საოცარ ისტორიას

დიდ მოურავზე. მკვლევარის მონათხრობიდან ირკვევა, რომ მარტყოფის ბრძოლაში გამარჯვებაში ლომის წვლილი მიუძღვის **გიორგი სააკაძეს**, რომლის დამსახურება განუსაზღვრელია არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროს წინაშე. მისი პოლიტიკური მოღვაწეობა ხელოვნურად არის გაყალბებული საქართველოს ისტორიაში. ეს ყველაფერი ხდებოდა ბაგრატიონთა დინასტიისა და თავადიშვილ-ფეოდალთა ზეწოლიდან გამომდინარე, რაც სხვადასხვა ისტორიულ წყაროებთან ანალიზის შედეგად დასტურდება. ვაქართველები ცდილობდნენ თავიანთი ღალატით სამშობლოს წინაშე, უნიათობა და უგერგილობა გადაეზრათ ბინათ გიორგი სააკაძისათვის. ამ საკითხზე არსებობს ხელოვნურად გაყალბებული, ურთიერთგამომრიცხავი ისტორიული მასალები და ამ მასალებზე დაყრდნობით დაწერილი არაერთი ლექსი თუ ისტორიული ცნობა.



როგორც საღამოზე ითქვა, **ნიკო ხერკელაძე** დაეყრდნო მის მიერ მოკვლევულ უტყუარ მასალებს. მრავალი ნიგნია დაწერილი გიორგი სააკაძეზე, სადაც ამ პიროვნების როლი უარყოფითადაც არის შეფასებული, თუმცა **ნიკო ხერკელაძემ** თავის ნიგნში, დიდი მოურავი – **გიორგი სააკაძე** ერთმნიშვნელოვნად დადებით, სამშობლოსთვის თავდადებულ პიროვნებად წარმოაჩინა. ვფიქრობ, სერიოზული ყურადღების ღირსია ნიკო ხერკელაძისეული მოსაზრებანი გიორგი სააკაძის შესახებ.

ნიჭიერი ხელოვანის შემოქმედება, ფერწერული ტილოები თუ პუბლიცისტური ნამუშევრები გაჟღერებულია პატრიოტული სულიკვეთებით, ისტორიის პატივისცემით და რელიგიური თემატიკით. როგორც თავად ხელოვანი, ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებს: „ჩემი ნამუშევრები არის რელიგიურ, ისტორიულ თემებზე. ყველა ქართველი ჩვენი ისტორიით არსებობს. ჩვენი წარსულით, აწმყოთი და მომავლით არსებობა სასიცოცხლო აუცილებლობაა“.

საღამოზე, სიტყვით გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე **მაყვალა გონაშვილი**, რომელმაც საქებარი სიტყვები არ დაიშურა ხელოვანის მისამართით და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის, მწერალთა კავშირის გადარწმუნებით, **ნიკო ხერკელაძეს** „**ღვანულმოსილის**“ ნოდება მიანიჭა.

მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ **გურამ ცერცვაძემ** კი, ხელოვნებაში და მხატვრობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, **ნიკო ხერკელაძე** სპეციალური დიპლომით დააჯილდოვა.

ღონისძიებას მუსიკალურად აფორმებდა **შალვა ილიურიძის** ხალხური ანსამბლი. ასევე, გაიმართა პატრიარქისადმი მიძღვნილი, **გულნაზ ხარაიშვილის** ლექსზე დაწერილი სიმღერის პრემიერა.

მართლაც, მეტად შთამბეჭდავი, დაუფიქრებელი შეხვედრა ჩატარდა პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.

მზია გომოქია

ამ ხორციელდება პრიორიტეტული პროექტები

# სკოლა-ლიცეუმ „ცოდნას“ ზაბიძით ანლოთ



საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრება ჩქეფს სკოლა-ლიცეუმ „ცოდნაში“. დამეთანხმებით, რომ წარმატებას მაშინ აღწევ, როცა დღე-ღამეობაში პროცესში ხარ და გამუდმებით იბრძვი.

ასე გადის დრო – დღეები, წლები და ხვედები, რომ რაღაც ძალიან საინტერესო, მნიშვნელოვანი ხდება შენს თავს და საკუთარ პროფესიას ცხოვრების მთავარ გამონაკვეთად იღებ.

სკოლა-ლიცეუმში „ცოდნა“ თბილისის ლამაზ და მყუდრო უბან, ავჭალაში (სარაჯიშვილის – 108) მდებარეობს. დირექტორის – ნაზი ნადირაძის დამსახურებაა, რომ აქ არცერთი დღე ერთმანეთს არ ჰკავებს. სასწავლო პროცესი დატვირთულია საინტერესო აქტივობებითა და ეფექტიანი ღონისძიებებით. ადმინისტრაცია ცდილობს, ფეხი

პროექტში მოსწავლეთა ჩართულობა გვეხმარება. პროექტით სწავლება, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეთა მოტივირებას იწვევს და ზრდის მათ პასუხისმგებლობას. ბავშვები ხალისით ასრულებენ სამუშაოებს.

აღსანიშნავია, რომ სკოლა-ლიცეუმში „ცოდნაში“ მასშტაბური სასწავლო პროექტი განხორციელდა სახელწოდებით – „მზიანი გულის მწერალი“ (ნოდარ დუმბაძის შემოქმედება). პროექტი დაიგეგმა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე, ხელმძღვანელ დარეჯან ცხომარის თაოსნობით. ღონისძიება მოიცავდა სხვადასხვა ეტაპს (მწერლის შემოქმედების გაცნობა, ანალიზი, შეხვედრა მწერლის ოჯახის წევრებთან, ნახატების გამოფენა, სტუმრობა ნოდარ დუმბაძის დარბაზში (ეროვნული ბიბლიოთეკა). განსაკუთრებით

საგულისხმოა, ჩვენი სკოლის სასწავლო პროექტი – „მარად და ყველგან, საქართველო, მე ვარ შენთან“, რომელიც ილია ჭავჭავაძის 180 წლის იუბილეს მიეძღვნა. პროექტის ავტორი გახლდათ ქართული ენისა და ლიტერატურის ჩინებული მასწავლებელი - ნინო მელქაძე, ხოლო ღონისძიებები და სხვადასხვა აქტივობა ერთობლივად დაგეგმეს სხვადასხვა საგნის პედაგოგებმა. ეს კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან ინტერდისციპლინარულ პროექტებში მონაწილეობა მოსწავლეებს ეხმარება



მოსწავლეებს მადლისა და სიკეთის ცხოვრებისეული მაგალითი აჩვენებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური პროექტებით აქ-

ბა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაა. ჩვენთან მოსწავლეებს ნდობითა და პატივისცემით ეპყრობიან. მოსწავლეები თავს სასკოლო ოჯახის წევრებად გრძნობენ.

„ცოდნაში“ მოღვაწეობენ მაღალკვალიფიციური, პროფესიონალი, საქმის ერთგული მასწავლებლები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მოსწავლეთა წარმატებით, სწავლაში – მაღალი შედეგებით. სრულად აქვთ შეგრძობილი რომ „განათლება ყველაზე დიდი მადლია ადამიანებისთვის, განათლების გარეშე ადამიანები უხეშები, ღარიბები და უბედურები არიან“. ჩვენი გუნდი, სკოლის საოცრად მოტივირებული, დაუღლელი, საქმეზე უსაზღვროდ და უპირობოდ შეყვარებული



ერთი და იგივე საკითხის მრავალი კუთხით დანახვაში. კვირეულის ფარგლებში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება (წარმოჩნდა ილიას ღვანლი ლექციები – ილია და მე-19 საუკუნე, მომხსენებელი იყო ისტორიის მასწავლებელი - ბელა გობეჯიშვილი; გაიმართა მოსწავლეთა კონფერენცია თემაზე: „განდეგილი“ და „ილიას მკვლელობა“. დანყებითი საფეხურის მოსწავლეები (IV კლასის ხელმძღვანელი ფიქრია ცერცვაძე) საინტერესო აქტივობებით გამოეხმაურნენ აღნიშნულ პროექტს.

ტიურია სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობაც, რომელიც ხშირად სტუმრობს სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

მრავალ წარმატებულ სასწავლო თუ სოციალურ პროექტთან ერთად, სკოლა-ლიცეუმში „ცოდნა“ ამჟამად თავისი წარჩინებული მოსწავლეებით. აღნიშვნის ღირსია მე-12 კლასის მოსწავლე - ნიკა გელოვანი, რომელიც ნომინაციაში „ახალგაზრდა მწერალი“ პროზა-პოეზიის პრემია „ივერიის“ ლაურეატი გახდა.



აუწყოს სიახლეებს, განათლების თანამედროვე ტენდენციებს. ამ მხრივ, სასკოლო ცხოვრებაში უფრო და უფრო აქტიური ხდება – სწავლება პროექტით, რაც ჩვენთვის მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვისაც, სრულიად ახალ ამოცანებს აყენებს და არსებითად განსხვავდება ტრადიციული გაკვეთილისგან.

წარმატებული აღმოჩნდა შემოქმედებითი საღამო, მწერლის მოთხოვნების მიხედვით დადგმული სპექტაკლი, რომელსაც, სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად, მწერლის ქალიშვილი – მანანა დუმბაძე ესრებოდა.

სასწავლო პროექტების გარდა, სკოლა წარმატებული და მრავალფეროვანი სოციალური აქტივობებითაც (პროექტებითაც) გამოირჩევა, რასაც დიდი წვლილი შეაქვს მოსწავლის

დაჯილდოების ცერემონიაზე, სადაც სკოლა იყო მინვეული, მას ილია მართლის ორდენი გადასცეს. მე-9 კლასის მოსწავლე ვალერია კაცაძე კი საქართველოს ყველაზე ჭკვიან და რჩეულ მოსწავლეთა რიგებში მოხვდა. მან გაიმარჯვა „კინგსის“ ქართული ენისა და ლიტერატურის ოლიმპიადაში და I ხარისხის დიპლომი დაიმსახურა. ვალერია კაცაძე ასევე, დასაწყობდა საგზურით მონაწილეობა მიიღო „კინგსი“-ს ბანაკის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში, რომელიც წყალტუბოში ჩატარდა.

დირექტორის, ქალბატონ ნაზი ნადირაძის თაოსნობით, ყოველწლიურად ცდილობს, დაუმტკიცოს აღნიშნული ჭეშმარიტება მოსწავლეებს.

აი, რატომ არის საინტერესო და მრავალფეროვანი „ცოდნის“ ცხოვრება როგორც მოსწავლეთათვის, ასევე მასწავლებლებისთვის. ეს ყველაფერი ქმნის მუდმივი განახლების, განვითარების, წინსვლის, წარმატების პირობას. ეს ხომ დღეს, თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში სასიცოცხლო მნიშვნელოვანია.

ჯობს „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“ იყოს! ამჯერად ჩვენი სკოლის წარმატებულ პროექტებსა და სანიმუშო მოსწავლეებზე მოგიხსნათ.



აღნიშნულმა პროექტმა ხელი შეუწყო მოსწავლეებში ნიგნიერების დონის ამაღლებას, წაკითხვის გაგება-ანალიზის უნარის განვითარებას, მწერლის მთავარი სათქმელის წვდომას; ამას გარდა, მათ განუვითარდათ ლოგიკური აზროვნების უნარი, ისწავლეს ურთიერთპატივისცემა, გუნდურობა, თანამშრომლობა, ერთმანეთის მხარდაჭერა და თანადგომა. ეს ხომ წარმატებული სწავლების არსებითი მხარეა.

ღირსეულ პიროვნებად და მოქალაქედ ჩამოყალიბებაში. დაიგეგმა და წარმატებით განხორციელდა სოციალური პროექტი „სიკეთე გადამდებია“, რომლის მიზანია იყო მოსწავლეებში გაგვეღვივებინა თანაგანცდის, თანადგომის, სხვისი ტკივილის გაზიარების გრძნობა. შეირჩა მოხუცებულთა ორი პანსიონი და იქ გაიმართა ბევრი საინტერესო, მნიშვნელოვანი ღონისძიება.

სკოლა-ლიცეუმში „ცოდნას“ ახალი სიმაღლეებისკენ უჭირავს თვალი.

სასწავლო პროექტი, კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაოა, რაც ანვითარებს კვლევით, შემოქმედებით, თანამშრომლობით და საკომუნიკაციო უნარების ასევე, იგი აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა.

აღსანიშნავია სოციალური პროექტი ძეგვის ბავშვთა სახლში. იგი დაიგეგმა და წარმატებით განხორციელდა და კლასების ხელმძღვანელების თეკლა ბეგიაშვილისა და ლიკა ლავილიას მიერ. ამ პედაგოგებმა ერთი დღე გაუღამაზეს ბავშვებს,

სკოლაში მოქმედებს სხვადასხვა საგნობრივი კლუბი და წრე, რაც სასწავლო პროცესს უფრო მიმზიდველს, მაღალ შედეგებზე ორიენტირებულს ხდის. მისი მიზანია მოსწავლეთა ნიგნიერების დონის ამაღლე-



ლია გაზაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

# თითქმის დაუჭერებელი „სოცხალი“ სტრატეგია



ასეც ხდება: ხან მასალის სიუხვე გაჭოჭმანებს, რით დაინყო წერილი, ხან – უღიმღამო, მწირი მასალა ჩაგაფიქრებს, რა დავწერო.

კერძო სკოლა შპს „შოვი“ კი ისეთი „ბარაქიანი ხონჩა მომართვებს“, იქვე ვიცოდი, რით დაავიწყებდი წერილს – სტატისტიკით. ციფრები და ფაქტები, თუ ისინი ობიექტურია, ხომ წარმატება-წარუმატებლობის უტყუარი დასტურია.

სტატისტიკა გამოცდების ეროვნული ცენტრისაა. ასე, რომ მისი ობიექტურობა ცხადია. ესეც არ იყოს, სკოლის ხელმძღვანელობის, პედაგოგების გაცნობის შემდეგ, კაცი ვიპოვე არ მოუვა აზრად, რომ ისინი შეიძლება მოკერძოებულნი იყვნენ.

ამას გამოცდების ეროვნული ცენტრის „სკოლების მხარდამჭერი პროექტის“ მონაცემებიც დავურთოთ, IV, VI, VIII და IX კლასები რომ შემოვწნა: IV კლასი, მათემატიკა 67%; VI: ქართული – 63 %, მათემატიკა – 86%, ინგლისური – 78%; VIII: მათემატიკა – 69%; IX: მათემატიკა – 80%, ინგლისური – 83%.

საჯარო სკოლებში საყოველთაო უვიცობის ფონზე, განსაკუთრებით ტექნიკურ საგნებში, როცა მოსწავლეთა N რაოდენობამ სწორედ უვიცობით დაადასტურა – სკოლებში სწავლა პირობითი ცნებაა, „შოვის“ ასეთი გასაოცრად მაღალი პროცენტები მართლაც გასაოცარია.

გამოსაშვები გამოცდების საშუალო ქულა, ყველა საგანში, ყოველწლიურად მზარდია. წინა სასწავლო წელს ამ მაჩვენებელმა 8, 72-ს მიაღწია. სტატისტიკის მიხედვით კი – 90 %-ს გადააჭარბა.

ასეთი სტატისტიკა თავიდან არის გასაკვირი, თორემ, შემდეგ რომ გაიგებ, სკოლის 212 მოსწავლიდან – 34 წარჩინებულიაო, ზემომოტიანი პროცენტებს სიბეჯითის ლოგიკურ შედეგად აღიქვამ, ხოლო ამ სიბეჯითეს სკოლის მცოდნე, მონდომებული, შემოქმედებითი კოლექტივის მიღწევად, კოლექტივისა, ვისთვისაც მასწავლებლობა, უპირველესად, შინაგანი არსი, ერთგვარი სულიერი მდგომარეობაა, როცა სრულად აქვე შეგრძნობილი, როდენი პასუხისმგებლობა იკისრეს სამშობლოს წინაშე – მომავალ თაობას ზრდიან. ზრდიან ყოველდღიურად. აკვალიანებენ და ზრდიან. ესაა ამ პედაგოგთა ანი და ჰაე. და ეს რომ სწორედ ასეა, სტატისტიკის არა თუ მშრალი, არამედ ცოცხალი

ციფრები ღალატებს, რადგანაც ყოველი მონაცემის მიღმა პედაგოგთა მართლაც ტიტანური შრომა და რეალური მომავალი თაობა დგას.

რამდენი ე. წ. ტრადიციული სკოლა დაიკვეხნის ასეთი მიღწევებით? „შოვი“ კი ამას სულ რაღაც ჩვიდმეტ წელიწადში მიაღწია, რაც ისეთი რთული და პასუხსაგები საქმისათვის დასაწყებად, გასამართლად, ქანის ასაღებად და სწორ კალაპოტში წარსამართლად, ყმანვილების სწავლა-აღზრდა რომ ჰქვია, „გაზაფხულის 17 გაეღვებასავითა“.

სკოლის დამაარსებელნი მისი დირექტორი ბატონი იოსებ გუტაშვილი და მათემატიკის მასწავლებელი და ხარისხის მართვის მენეჯერი ლევან სულთანშვილი არიან.

ბატონმა იოსებმა 1976 წელს დაამთავრა დედაუნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. მეხუთე კურსი უკრაინაში, ფიზიკის აკადემიაში გაიარა და დიპლომიც იქვე დაიცვა. შემდეგ ერთი წელი ეუფლებოდა მოსკოვში ინგლისურ ენასა და მათემატიკის ცოდნას იღრმავებდა, რათა, სათანადო პროგრამის შესატყვისად, საზღვარგარეთ პედაგოგებისთვის ესწავლებინა მათემატიკა. შემდეგ თბილისის სხვადასხვა სკოლაში მუშაობდა ფიზიკა-მათემატიკის პედაგოგად.

ბატონმა ლევანმა თსუ-ის მათემატიკის ფაკულტეტი დაამთავრა. იქვე მუშაობდა კიდევ. შემდეგ – ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში მეცნიერ მუშაკად.

ასე, რომ განათლების სფერო მათთვის ახლობელი იყო და ერთავე რომ სწორედ თავის ადგილზეა, იმ საქმეს აკეთებს, რაც იცის და უყვარს, ხომ ცხადზე უცხადესია.

თუ ბუნებაში ერთნაირად დამუხტული ნაწილაკები, სხეულები განიზიდება, განგების ნებით, ცხოვრებაში საერთო მისწრაფებით, ლტოლვით ერთნაირად დამუხტულთ აერთიანებს, საერთო ნებით ჰკრავს და ერთად ატარებს დიდ გზაზე სამშობლოსათვის ღირსეული, მცოდნე, მორალურ-ზნეობრივად მდგრადი შვილების აღზრდა რომ ჰქვია.

ამიტომ „შოვის“ პედაგოგთა კოლექტივი ასე შედგება: ბული.

დირექტორის მოადგილე ქალბატონი ევა გასვიანია. მან დედაუნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი დაამთავრა ფილოლოგიის სპეციალობით და მთელ

ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას ახმარს სკოლას.

21 პედაგოგიდან 12 – სერთიფიცირებულია.

ხომ ამდენი წარჩინებული ჰყავთ, მაგრამ სკოლის მუშაობის ძირითადი ხარისხია. ამიტომ მედლების ორი კანდიდატია: ოქროსი – თამარ ბინაძე, ვერცხლისა – ანა ნაროზაული. ბევრმა კურსდამთავრებულმა მოიპოვა 100%-იანი დაფინანსება და სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს.

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლადვეა გამიზნული უცხო ენასა და მათემატიკაში კლასების გაყოფა და ძირითად საათებზე აღმატებული მეცადინეობები. სწავლის გადასახადი ყველა დამატებით მეცადინეობას, პროექტებში მონაწილეობასა და ეროვნული და მისაღები გამოცდებისთვის მომზადებას ითვალისწინებს. ამიტომ აქაურ კურსდამთავრებულებს რეპეტიტორები, ფაქტობრივად, არა სჭირდებათ.

დანეებით კლასებში დამატებით ასწავლიან ეთიკასა და ზღაპრებს. ეთიკა ქცევის ნორმების შესწავლას ნიშნავს. ყმანვილებს



იმთავითვე ძალზე სახალისოდ, თვალსაჩინოდ და, ხანაც, თამაშობაში აჩვენებენ ქცევის ნორმებს, რაც, უპირველესად, თავადვე გამოადგებათ ცხოვრებაში.

ზღაპრები. პატარაობიდანვე აზიარო უმდიდრეს ხალხურ შემოქმედებას; იმთავითვე ჩაუნერგო ქართული კულტურის სიყვარული, იმას ნიშნავს, რომ მტკიცე ნიადაგს უმზადებ მიმავალ მამულიშვილს, პატრიოტს.

სკოლის ინტელექტუალთა კლუბი ელიტარულ გადაცემაში „რა, სად, როდის“ მონაწილეობდა და მუნიციპალურ ტურშიც



გამიარჯვა. მოქმედებს მკითხველთა, მცენარეთა, პოეზიის მოყვარულთა კლუბები; მხატვრული კითხვის, სახალისო მათემატიკის წრეები. ძველზე რომ არაფერი ვთქვათ, ამ სასწავლო წელს მრავალი საინტერესო და აღსანიშნავი ღონისძიება გაიმართა. აქტიურობით ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა გამოირჩეოდა, პედა-



გოგი მაია ელიკაშვილი „ვეფხიტყაოსნის“ ზეპირადმცოდნეა. ამიტომაც არაა გასაკვირი, ბავშვებსაც ამ უძვირფასესი საუნჯის სიყვარულს რომ უწერგავს. „ჩვენ ზეპირად სწავლობთ „ვეფხიტყაოსანს“ – ამ პროექტის ფარგლებში გამარჯვებული მოსწავლეები საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს ხელმძღვანელის, ქალბატონ მაკა თაქთაქიშვილის მიწვევით, ახალციხეში გამართულ ზეპირმცოდნეთა კონკუსში მონაწილეობდნენ. ბავშვები სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.



სკოლის ლიტერატურული სალონის წევრები (ხელმძღვანელი ევა გასვიანი) თიანეთში, მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმში ესტუმრნენ და ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინეს. მუზეუმის დირექტორის, ქალბატონ ციციკო გაბიდაურის ინიციატივითა და ორგანიზებით, სკოლა „შოვის“ მოსწავლეებმა მუზეუმთან არსებულ ნორჩ შემოქმედთა კლუბის წევრებთან ერთობლივი ღონისძიება გამართეს საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში. ღონისძიებას ესწრებოდნენ



პოეტები, მეცნიერები და სხვა საპატიო სტუმრები. ბავშვები დაუმეგობრდნენ ერთმანეთს. სკოლა „შოვი“ მაღლობას უხდის ქალბატონ ციციკო გაბიდაურს ამ დაუფინყარი შეხვედრისათვის. პედაგოგმა ინირე ნიქაბაძემ ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციისათვის გააერთიანა IX და X კლასების მოსწავლეები.

მათ, პროექტის ფარგლებში, მრავალი საინტერესო აქტივობა განახორციელეს.

VIII და IX კლასები მოსწავლეების ინიციატივით (კლ. ხელმძღვანელები: ნონა რეხვი-აშვილი და ზურაბ ელიკაშვილი), გარემოს დასუფთავების აქცია გაიმართა. განმინდეს მარტყოფის მონასტრისკენ მიმავალი გზა იმ წარჩინებისგან, რასაც, სამწუხაროდ, დაუდევარი ადამიანები ექსკურსიების დროს ტოვებენ.

დანეებითი კლასების კათედრის წევრები რეგულარულად მართავენ მხატვრული კითხვის კონკურსებს. დედის დღისადმი მიძღვნილი ზეიმისთვის III კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგი – ნინო ბარბაქაძე) თავისი ხელით შექმნეს სადღესასწაულო სა-მოსი.

ჩვენს მოსწავლეებს მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ სპორტში: ლუკა და ალექსანდრე ლობჯანიძეები ახლახან იყვნენ თურქეთში ძიულდომი ევროპის თასზე მონაწილეობის მისაღებად. ბექა ბერბერაშვილი, ალექო რობიტაშვილი, თემურ ალადაშვილი, ლექსო შავაძე, მალხაზ ოქრიაშვილი, თენგი კანთელაშვილი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თბილისის პირველობაზე საპრიზო ადგილების მფლობელები არიან. სურაჯ ნაბივი კი საქართველოს ჩემპიონია კიგ-ბოქსინგში.

სკოლა კიდევ ბევრ პროექტშია წარმატებით ჩართული, მრავალ გამიზნულად აღმზრდელი, სახალისო ღონისძიებას მართავს. ყველას ჩამოთვლა ძალზე გაგივირცხება სიტყვას.

ამას კი აუცილებლად აღვნიშნავ: კედელზე სტენდია სათაურით „როგორ ვავარებთ პრობლემებს“. მასზე, ხელმოწერებით, თორმეტი მოსწავლის პრობლემა და მოგვარების მათი ხედვა იყო გამოფენილი.

ჩაუუკვირდეთ: როგორი ნდობა უნდა ჰქონდეს მოპოვებული პედაგოგების, როგორი ურთიერთნდობა და პატივისცემა უნდა ჩაენერგათ მოსწავლეებში, რომ ასე საჯაროდ გადაეშალათ გული. თანაც, ეს ძახილი ხმად მლაღაღებლისად როდი რჩება – ერთად მსჯელობენ და სიძნელეთა დაძლევის გზებსაც ურთობლივად სახავენ.

აი, უმთავრესი – ურთიერთნდობა და ურთიერთპატივისცემა. ამაზე იგება სკოლის მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა.

ნომრის სტუმარია თბილისის 39-ე საჯარო სკოლა

# მიზანი, როგორც ოცნახა და პასია



40 წელზე მეტია გლდანის რაიონში თბილისის 39-ე საჯარო სკოლა ფუნქციონირებს. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ქეთევან ლაზარაშვილი ამ სკოლის პირველი გამომგებია, პირველი კურსდამთავრებულია. პროფესიით დანყებითი სწავლების პედაგოგი პატარებთან მუშაობას სტუდენტობის დროიდანვე შეუდგა და სხვადასხვა სკოლაში ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. საბოლოოდ, მშობლიური სკოლისკენ გაუწია გულმა და 22 წელია, ვინ მოთვლის, რამდენ მოსწავლეს დაამასხოვრდა თავისი პირველი მასწავლებელი.

სკოლა მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კოლექტივისა და საიმედო გარემოს წყალობით, წარმატებული გახდა. ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, განვილია სამუშაო გეგმა და ხელმძღვანელები ყველაფერს აკეთებენ ამა თუ იმ პროექტის მაღალ დონეზე განსახორციელებლად. მრავალფეროვან სასწავლო აქტივობებს სთავაზობს მოსწავლეებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა, ხელმძღვანელი – ნინო გერმისაშვილი, პედაგოგები: ლელა ანთია, ნუნუ მენთეშაშვილი, ლამარა დურგლიშვილი, ზაირა ბურდული, ნინო მაისურაძე და ნანა ფერაძე. მოხეტიალე ისტორიკოსთა კლუბში გაერთიანებული ხელმძღვანელი მოსწავლეებს თბილისის ღირსშესანიშნაობებს აცნობს, სტუმრობდნენ ბოტანიკურ ბაღს, აბრეშუმის მუზეუმს, ეროვნულ გალერეას და სხვა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სკოლების საგრანტო დაფინანსების პროგრამის „თავისუფალი გაკვეთილების“ ფარგლებში, სკოლამ დაფინანსება მოიპოვა პროექტზე „არქეოლოგიის საგანძური“ – ხელმძღვანელი ნინო გერმისაშვილი. პროექტში მონაწილე მერვეკლასელებმა მოსწავლეებმა დაათვალიერეს საქართველოს ეროვნული მუზეუმი და არქეოლოგიის საგანძური, გააკეთეს ჩანახატები და გადაიღეს ფოტო-მასალა, მოინახულეს დმანისის ნაქალაქარი, საინტერესოდ წარმართა შეხვედრა არქეოლოგ ქეთევან დიღმელაშვილთან, მოეწყო პრეზენტაციები და დისკუსიები.

ამჟამად კათედრა მუშაობს ახალ პროექტზე – საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა. მარო მყაშვილსა და ჩვენს ქვეყნის ოკუპაციას მიეძღვნა საჩვენებელი გაკვეთილი სკოლის ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარი – როზა ლომიძე). მიმდინარეობს მზადება შემავამებელი შეჯიბრებისთვის,



რომელიც თბილისის ერთ-ერთ სკოლასთან გაიმართება. დანყებითი კლასების კათედრა – (ხელმძღვანელები ნინო ყორყორიანი და ნათია ბესელია) აქტიურ მონაწილეობას იღებს სხვადასხვა ღონისძიებაში. პედაგოგებმა: ქეთევან ლაზარაშვილმა, მანანა ცერაძემ, ლია გიგაურმა, ია მთავარაშვილმა, ნანული წერეთელმა, მანანა კილაძემ, ნინო გიგოლაშვილმა, ირმა მახარობლიძემ, თეა ჩხეი-



ძემ, ეკატერინე გულიაშვილმა, მაია ურიგაშვილმა, დარეჯან მეგრელიშვილმა, თამარ სისაურმა, მზია დათუნაშვილმა, ხათუნა კოპალიანმა, ნელი ავალიანმა, თამარ ვადაჭკორიამ, ნინო ლაზარაშვილმა და ქეთევან გულიაშვილმა კათედრის ხელმძღვანელებთან ერთად, სასწავლო წლის მანძილზე წარმოადგინეს „ჩემი ოქროსფერი შემოდგომა“, მასწავლებლის საერთაშორისო და დედის დღისადმი, ასევე, იაკობ გოგებაშვილის 177

წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, საახალწლო – შემოქმედებითი ვიქტორინა და კარნავალი; ჯანსაღი კვების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კლასებში მოეწყო მხიარული „კულინარიული დუელი“; ბუღინგის წინააღმდეგ მოსწავლეებმა გამოფინეს ნახატები – „არა ძალადობას“, სულ ახლახანს კი, კლასებში, ფერად-ფერადი წინდებით შეუერთდნენ ღონისძიებას – „ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს“.

მათემატიკის კათედრაზე (ხელმძღვანელი – მანანა ადამაშვილი) პედაგოგები: ნანა სიხუაშვილი, მაია რუსიშვილი, ლალი ქაფიანიძე, ნინო უმიკაშვილი, ლია გიორგაძე, ეკატერინე ცქიფურიშვილი, ქეთევან ჭაფიძე და ირმა სანიკიძე საგაკვეთილო პროცესში წარმოშობილ სხვადასხვა საკითხებს განიხილავენ, ტრენინგებზე მიღებულ ცოდნა-გამოცდილებას ერთმან-

ნეთს უზიარებენ და შემავამებელი ტესტების ნორმებს ადგენენ. ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წევრები: ლალი ნასყიდაშვილი, ნინო კაპანაძე, ნინო იმნაიშვილი, მაია კოპალიაშვილი, სვეტლანა ბოკუჩავა, მაია ჭალიაშვილი, ნინო გაბრიელაშვილი, ნატალი ბენიძე, ლია მინაშვილი ჩართულები არიან მასწავლებელთა სქემებში, ესწრებიან ტრენინგებს, სხდომებზე განიხილავენ ყველა

სიახლეს. გეგმის მიხედვით ხორციელდება სწავლება ინკლუზიური მოსწავლეებთან, მოტივირებულები არიან საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობაზე. უცხოური ენების კათედრის ხელმძღვანელობით (ხელმძღვანელი ნინო წარმანაშვილი), სკოლაში საინტერესო ღონისძიებები ჩაატარეს პედაგოგებმა: ინდიანა ბულიშვილმა (გერმანული ენა), ნინო ალადაშვილმა, მზია არაბაშვილმა, რუსუდან ბარ-



ბაქაძემ, ინესა დემეტრაშვილმა, თამარ ერისთავმა, იზა ესართიამ, ელენე ზალიაშვილმა, ანა მჭედლიშვილმა, ლია ნადირაშვილმა (ინგლისური ენა); მანანა მელიქიამ (ფრანგული ენა), ნანული ბასიაშვილმა, მაია მამისაშვილმა, (რუსული ენა); გერმანულ-ქართულ ენებზე წარმართულ ღონისძიებებში, მეშვიდე კლასელი მოსწავლეები ნიკო ფიროსმანის ექსპონატების გამოფენაზე, თბილისი ბანკის საგამოფენო სივრცეში იყვნენ მინვერები, სადაც ფიროსმანის 2 რესტავრირებული პორტრეტი – „შოთა რუსთაველი“ და „თამარ მეფე“ იყო წარმოდგენილი, მონაწილეობა მიიღეს შემეცნებით ღონისძიებაში – ხატეს ფიროსმანის ტექნიკით, ნახეს ფილმი, ჩანერეს ინტერვიუები და სხვა. დასასრულს, სასკოლო ღონისძიება – გამოფენა მოეწყო. ახლახან, ანა ფრანკისადმი მიძღვნილი ღონისძიების ფარგლებში, შეიძინეს და წაიკითხეს „ანა ფრანკის დღიური“, ნახეს სპექტაკლი, კინოფილმი და მოეწყო სასკოლო საღამო.

მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობებით მოსწავლეებს ინოვაციურ გაკვეთილებს სთავაზობენ უფროსი მასწავლებლები – მარინე გახარია, ელისო ვეშაძიძე, დალი თევზაძე, ირმა კოზმავა, ნინო ქავთარაძე.

ყველა გამონვევისადმი მზაობა აქვთ და სქემებში ჩართულები არიან პრაქტიკოსი პედაგოგები – ლია ანთიძე, ინესა ბარამიძე, თეა გაბრიჭიძე, ნუნუ ესართია, მარინე ეძგვერაძე, მალხაზ კურდელაშვილი, თოვლია მიქავა, სოფიკო ლულუნიშვილი, ქეთევან შარაშენიძე, მაკა ცაბუტაშვილი, ხათუნა ჭელიძე. მე-8 კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგი – ინესა დემეტრაშვილი) წიგნიერების კონკურსში, ქალაქის მასშტაბით, პირველი ადგილი დაიკავეს და მოიპოვეს „ყველაზე წიგნიერის“ ტიტული. სასწავლო – აღმზრდელობითი გარემო და განწყობა ჩინებულია, საგაკვეთილო პროცესი საინტერესო და შედეგზე ორიენტირებული. მოსწავლეებს აქვთ იმის განცდა, რომ სკოლა მათზე ზრუნავს და თავადაც წარმატებით პასუხობენ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელით, 39-ე საჯარო სკოლის დირექტორს ქეთევან ლაზარაშვილს მადლობის სიგელი გადაეცა, 2017 წელს ოქროს მედალოსნების გამოშვებისთვის – 8 ოქრო (ანა გაგუა, ანა ასატ-

უროვა, ეთერ ჯიშკარიანი, ელენე მახარაძე, ლიკა გოცაძე, მარიამ თოლორაძე, ნათია ბაზანდარაშვილი, სალომე ელბაქიძე) და 5 ვერცხლის (მაგდა ჯიქია, მარიამ ვაფრინდაშვილი, მარიამ კაკოშვილი, მარიამ მამუკიშვილი, მერაბ ჯავახიშვილი). სკოლაში სულ 1480 მოსწავლეა და წელს სამი მე-12 კლასი დაემშვიდობება მშობლიურ კედლებს.

სკოლის შენობაში მეგზურობას გვინებდა ძალიან გულსხმიერი და თავისი საქმის საქმად კარგი სპეციალისტი, ინფო მენეჯერი ნინო ჩხობაძე, ასევე საქმისმწარმოებელი მაია მილაძე.

